საქართველოს იურისტთა კავშირი

GEORGIAN LAWYERS' UNION СОЮЗ ЮРИСТОВ ГРУЗИИ

ჟურნალი გამოდის გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ტექნიკური მხარდაჭერით

The journal is editted with the technical support of United Nations High Commissioner for Refugees

Журнал выходит при технической поддержке Верховного Комиссариата ООН по делам Беженцев

«სამართალი»

სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი

"LAW"

Scientific-practical juridical journal

"ПРАВО"

Научно-практический юридический журнал

№9-10, 2002

ISSN 0868-4537

© ჟურნალი „სამართალი", 2002
© Journal "Law", 2002
© Журнал "Право", 2002

მისამართი: 380007, თბილისი, თავისუფლების მოედანი №4
Address: Liberty Square 4, Tbilisi, 380007
Адрес: 380007, Тбилиси, Площадь Свободы №4

Phone 923880, 923882, 984797 (108), 230904
Fax: 23 09 04 **E-mail:** glu@wanex.ge

საძიებელი

ინფორმაცია

საქართველოს იურისტთა კავშირში 7

ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა სამართლებრივი დაცვა

ქეთევან ხიზანიშვილი – რეპატრიაცია და ქონების რესტიტუცია, როგორც კონფლიქტის დარეგულირების ერთ-ერთი საშუალება და ამ პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების როლი 14

ნათია კინწურაშვილი – სახელმწიფო ორგანოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის თავისებურებანი კონფლიქტთა დარეგულირების პროცესში 17

საკონსტიტუციო სამართალი

ლევან იზორია – საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გაგების რამდენიმე ასპექტი 21

პაატა დავითაია – გფრ-ის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციული წყობა 25

ზაზა რუხაძე – ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზაციის კონსტიტუციური ტრადიციები საქართველოში 27

გიორგი თევდორაშვილი – ექსტერიტორიული ავტონომია (ევროპული გამოცდილების მოკლე ანალიზი) 32

სამოქალაქო სამართალი

დავით კეკენაძე – სამართალწარმოების ობიექტი და სუბიექტი საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით 35

ლეილა კოხრეიძე – მეუღლეთა თანასაკუთრების ურთიერთშეთანხმებით განკარგვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის წილის გასხვისების უფლებასთან მიმართებაში 38

ვახტანგ მაჭავარიანი – თამასუქების გადაცემა 41

შალვა ქურდაძე – გადახდის ბრძანების იურიდიული ბუნება 45

გიორგი თუმანიშვილი (უმცროსი) – საქორწინო კონტრაქტი და საერთო თანაზიარი საკუთრება ამხანაგობის ტიპის კომერციულ საზოგადოებებში მეუღლეთა მონაწილეობის ასპექტში 50

ანა უჩანეიშვილი – საცხოვრებელი სადგომის ქვექირავნობის ხელშეკრულების დადება დამქირავებლის ოჯახის წევრებთან 53

სისხლის სამართალი, კრიმინოლოგია

გიორგი გორაშვილი – სასჯელის მოუხდელი ნაწილის მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკანონმდებლო სრულყოფისათვის 54

ზაზა ბეროზაშვილი – ნარკომანია და დანაშაული 59

გიორგი მენაბდე – ტერორისტული აქტი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 62

ენოკ აზარიანი – სისხლის სამართლის სამართლებრივი წყაროები 64

პეტრე დაუთაშვილი – საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა და ამ დანაშაულის კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი 69

სისხლის სამართლის პროცესი, კრიმინალისტიკა

რეზო გოგშელიძე – პროკურატურის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში 71

კობა ბუაძე – პროკურატურის სტატუსი რეფორმირების ფონზე 76

ბესიკ სოხაძე – მოძრაობის უსაფრთხოებისა და ავტოტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დანაშაულებრივი დარღვევის კრიმინალისტიკური დახასიათება 80

ჯემალ გაბელია – შინაგან საქმეთა ორგანოების ინსტიტუციურ რეფორმებთან დაკავშირებული ზოგიერთი პროცესუალური საკითხი 87

დავით კარიაული – საქართველოს რევკომის დეკრეტები, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კანონის წყაროები რევოლუციის პირველ წლებში 92

საერთაშორისო სამართალი

ვეფხია (მერაბ) გვარამია – ექსტრადიციის ტერმინის საკითხისათვის 94

მამუკა შენგელია – „ჰუმანიტარული ინტერვენციის (ჩარევის)" ზოგიერთი ასპექტი 97

ვასილ კენკიშვილი – ამერიკის შეერთებული შტატების ანტიდამპინგური კანონმდებლობა 100

ადმინისტრაციული სამართალი, პროცესი

პაატა ტურავა – სამხრეთგერმანული კომუნალური თვითმმართველობის მოდელის უპირატესობა და მისი გამოყენების შესაძლებლობა საქართველოში 104

ალექსანდრე ჩხიტაური – საბაჟო ურთიერთობები საქართველოში 1918-1921 წლებში 109

ციალა ჩქარეული – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის მონაწილენი . 111

სამართლის ისტორია, თეორია

გიორგი ნადარეიშვილი – წიგნი ხელისუფლების და სამართლის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ 113

მანანა კოპალიანი – ივანე ჯავახიშვილი გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების შესახებ (დარბაზი და სავაზირო) 114

ლია ადეიშვილი – თვითმმართველობა, როგორც საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის ფორმა რუსეთის იმპერიაში ნ. ხიზანაშვილის შემოქმედების მიხედვით 120

ლალი აბრამიშვილი – ტერმინები „ნიჭი" და „საფასე", რომლებიც ქრთამის მნიშვნელობით იხმარებოდნენ 122

მარიამ ხოფერია – რომის სამართალში მზითევის განკარგვის წესი ქორწინების პერიოდში 124

გიორგი თუმანიშვილი – სამართლის ნორმის ტექსტში სიტყვის ახსნა-განმარტების საკითხთან დაკავშირებით 127

Rezume 130

Резюме 135

Search guide

INFORMATION

In Georgian Lawyers' Union 7

LEGAL PROTECTION OF REFUGEES AND INTERNALLY DISPLACED PERSONS

Ketevan Khizanishvili – Repatriation and property restitution, as one of the most important means in peaceful settlement of the conflicts and position of non-governmental organizations in the mentioned process 14

Natia Kintsurashvili – Characteristics of cooperation between state bodies and non-governmental organizations in the process of conflicts settlement 17

CONSTITUTIONAL LAW

Levan Izoria – Some aspects of constitutional-legal concept of propert 21

Paata Davitaia – Charter organization of federal constitutional court in Germany 25

Zaza Rukhadze – The Constitutional traditions of authority distribution principles realization in Georgia 27

George Tevdorashvili – Exterritorial autonomy (brief analysis of the European experience) 32

CIVIL LAW

David Kekenadze – The Object and subject of court procedures according to the procedural legislation of Georgia 35

Leila Kokhreidze – Possession, upon the mutual agreement of the spouses, of common property in connection with the right of alienation of the partnership share in organizations with limited liability 38

Vakhtang Machavariani – Transfer of bills 41

Shalva Kurdadze – Legal nature of the payment order 45

George Tumanishvili (junior) – Conjugal contract and common property in the aspect of the spouses' participation in commercial communities such as companies 50

Ann Uchaneishvili – Closing the contract of an apartment rent with the members of the tenant family 53

CRIMINAL LAW, CRIMINOLOGY

George Gorashvili – Concerning improvement of the legislation about replacement of some part of not expired punishment term with an easier punishment 54

Zaza Berozashvili – Narcotism and criminality 59

George Menabde – Terrorism acts and the Criminal Code of Georgia 62

Enok Azaryan – Legal sources of criminal law 64

Petre Dautashvili – Illegal passage of Georgia state border and some questions of this crime qualifying 69

CRIMINAL PROCEDURE, CRIMINALISTICS

Rezo Gogshelidze – The role of the prosecutors office in democratic society 71

Koba Buadze – The prosecutors office status at reformation background 76

Besik Sokhadze – Criminalistic characteristic of infringement of the traffic rules 80

Jemal Gabelia – Some procedural questions connected to institutional reforms of law-enforcement bodies 87

David Kariauli – Decrees of Revolution Committee of Georgia as sources of the Criminal Procedural Law in the first years of Revolution 92

INTERNATIONAL LAW

Vepkhia (Merab) Gvaramia – Concerning the issue of the term extradition 94

Mamuka Shengelia – Some aspects of humanitarian intervention 97

Vasil Kenkishvili – Antidumping legislation of the United States of America 100

ADMINISTRATIVE LAW, PROCEDURES

Paata Turava – Advantages of South Germany model of municipal self-government and possibilities to apply it in Georgia 104

Alexander Chkhitauri – Custom office relations in Georgia in 1918- 1921 109

Tsiala Chkareuli – Participants of the case consideration of administrative law infringement 111

THEORY OF LAW

George Nadareishvili – The book of relation of authority and law 113

Manana Kopaliani – Ivane Javakhishvili about the supreme bodies of authority in United feudal Georgia (Imperial court yard and council) 114

Lia Adeishvili – Self-government, as the form of political system of Georgia in the Russian empire according to works by N. Khizanashvili 120

Lali Abramishvili – Terms talent and cost, which were used meaning a bribe 122

Mariam Khoperia – The order of the dowry possession during the marriage period in the Roman right 124

George Tumanishvili – Concerning the issue of explanation of the word meaning in the text of the legal norm 127

Rezume 130

Резюме 135

Оглавление

ИНФОРМАЦИЯ

В Союзе Юристов Грузии 7

ПРАВОВАЯ ЗАЩИТА БЕЖЕНЦЕВ И ВНУТРЕННЕ ПЕРЕМЕЩЕННЫХ ЛИЦ

Кетеван Хизанишвили – Репатриация и реституция имущества, как одно из важнейщих средств мирного урегулирования конфликтов и место неправительственных организаций в данном процессе 14

Натия Кинцурашвили – Особенности сотрудничества между государственными органами и неправительственными организациями в процессе урегулирования конфликтов 17

КОНСТИТУЦИОННОЕ ПРАВО

Леван Изория – Несколько аспектов конституционно-правового понятия собственности 21

Паата Давитая – Организационный уклад федерального конституционного суда ФРГ 25

Заза Рухадзе – Конституционные традиции реализации принципов разделения власти в Грузии 27

Георгий Тевдорашвили – Экстерриториальная автономия (краткий анализ европейского опыта) 32

ГРАЖДАНСКОЕ ПРАВО

Давид Кекенадзе – Объект и субъект правопроизводства в соответствии с процессуальным законодательством Грузии 35

Лейла Кохреидзе – Распоряжение, по обоюдному соглашению супругов, общей собственностью в связи с правом отчуждения доли партнера в организации с ограниченной ответственностью 38

Вахтанг Мачавариани – Передача векселей 41

Шалва Курдадзе – Юридическая природа приказа о выплате 45

Георгий Туманишвили (младший) – Брачный контракт и общее имущество в аспекте участия супругов в коммерческих обществах типа товариществ 50

Ана Учанеишвили – Заключение договора о найме жилищного помещения с членами семьи нанимателя 53

УГОЛОВНОЕ ПРАВО, КРИМИНОЛОГИЯ

Георгий Горашвили – К усовершенствованию законодательства о замене части не истекшего срока наказания наказанием более легкого вида 54

Заза Берозашвили – Наркомания и преступление 59

Георгий Менабде – Террористический акт и уголовный кодекс Грузии 62

Энок Азарян – Правовые источники уголовного права 64

Петре Дауташвили – Незаконное пересечение государственной границы Грузии и некоторые вопросы квалифицирования этого преступления 69

УГОЛОВНЫЙ ПРОЦЕСС, КРИМИНАЛИСТИКА

Резо Гогшелидзе – Роль прокуратуры в демократическом обществе 71

Коба Буадзе – Статус прокуратуры на фоне реформирования 76

Бесик Сохадзе – Криминалистическая характеристика преступного нарушения правил безопасности движения и эксплуатации 80

Джемал Габелия – Некоторые процессуальные вопросы, связанные с институционными реформами органов внутренних дел 87

Давид Кариаули – Декреты ревкома Грузии как источники уголовно-правового процессуального закона в первые годы революции 92

МЕЖДУНАРОДНОЕ ПРАВО

Вепхия Гварамия – К вопросу о термине экстрадиция 94

Мамука Шенгелия – Некоторые аспекты гуманитарной интервенции (вмешательства) 97

Васил Кенкишвили – Антидемпинговое законодательство Соединенных Штатов Америки 100

АДМИНИСТРАТИВНОЕ ПРАВО,ПРОЦЕСС

Паата Турава – Преимущества модели южногерманского коммунального самоуправления и возможности ее использования в Грузии 104

Александре Чхитаури – Таможенные взаимоотношения в Грузии в 1918-1921 годах 109

Циала Чкареули – Участники рассмотрения дела о нарушении административного права 111

ИСТОРИЯ ПРАВА, ТЕОРИЯ

Георгий Надареишвили – Книга о взаимоотношениях власти и права 113

Манана Копалиани – Иване Джавахишвили о высших органах власти объединенной феодальной Грузии (Царский двор и совет) 114

Лия Адеишвили – Самоуправление, как форма политического устройства Грузии в российской империи в соответствии с творчеством М.Хизанашвили 120

Лали Абрамишвили – Термины талант и стоимость, которые употреблялись в значении взятка 122

Мариам Хоперия – Порядок распоряжения приданым в период брака в римском праве 124

Георгий Туманишвили – К вопросу о разъяснении значения слова в тексте нормы права 127

Rezume 130

Резюме 135

გიორგი თუმანიშვილი
(უმცროსი)

საქორწინო კონტრაქტი და საერთო თანაზიარი საკუთრება ამხანაგობის ტიპის კომერციულ საზოგადოებებში მეუღლეთა მონაწილეობის ასპექტში

შესავალი

თანამედროვე ქართული სამართალი 1997 წლიდან იცნობს საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტს. აღნიშნულმა სამართლებრივმა ინსტიტუტმა საქართველოს რეალობაში ჯერ ვერ დაიმკვიდრა თავისი სათანადო ადგილი.

წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება რამდენიმე მნიშვნელოვანი და ჩვენი აზრით აქტუალური საკითხი. ეს საკითხები სასამართლო პრაქტიკისათვის ნაკლებად ცნობილია და ფაქტობრივად ის შესაძლებლობანი, რომლებსაც ისინი იძლევიან, რეალურ სინამდვილეში არ გამოიყენება. ვფიქრობთ, რომ არსებული მდგომარეობა არ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც დღევანდელი დღე უყენებს საზოგადოებას. ამ ვითარებიდან გამომდინარე სტატიის პათოსი და მისი შექმნის აუცილებლობა ნაკარნახევია სურვილით, თუნდაც ცოტათი შეივსოს ის არაბუნებრივი სიცარიელე, რომელიც არსებობს ამ სფეროში.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე ნაშრომი სარგებელს მოუტანს მკითხველს და შეძლებისდაგვარად გააცნობს მას თანამედროვე სამართალში დღევანდელი დღისათვის შექმნილ ვითარებას, იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელნიც განსაზღვრულია ნაშრომის სათაურით.

მეუღლეთა, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა განსაზღვრისათვის, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მეუღლეთა საკუთრებაში არსებული ქონების სამართლებრივი რეჟიმი.

მეუღლეთა საკუთრებაში არსებული ქონება, შესაძლებელია სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმის იყოს. მისი (ქონების) მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა სხვადასხვა საფუძველზე ხდება. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით მეუღლეთა ქონება იყოფა ორ ნაწილად: ინდივიდუალურ, ანუ განცალკევებულ და საერთო თანაზიარ საკუთრებად.

ინდივიდუალურია ისეთი ქონება, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის და თვითონვე განკარგავს მას. ასეთია ქორწინებამდელი, აგრეთვე ქორწინების პერიოდში მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონება, პირადი მოხმარებისათვის შეძენილი ნივთები და სხვ. რაც შეეხება მეუღლეთა საერთო თანაზიარ საკუთრებას, ეს არის ქონება, რომელიც შეძენილია მათ მიერ ქორწინების პერიოდში. მეუღლეებმა შეიძლება საქორწინო ხელშეკრულებით გაითვალისწინონ ქონების ამა თუ იმ სახისათვის მისთვის დამახასიათებელი ტრადიციული სამართლებრივი რეჟიმის შეცვლა. ასეთ შემთხვევაში მეუღლეთა ნებას პრიმატი ენიჭება. საქორწინო კონტრაქტის არარსებობა საფუძვლად ედება ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების თანაზიარ საკუთრებად აღიარებას. იმის გათვალისწინებით, რომ ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები, ძვირფასეულობის გარდა, თუნდაც ქორწინების განმავლობაში იყოს შეძენილი, მეუღლეთა საერთო თანხებით, ჩაითვლება იმ მეუღლის საკუთრებად, რომელიც სარგებლობს ამ ნივთებით.

საქართველოს კანონმდებლობით მეუღლეთა უფლებამოვალეობების წარმოშობის საფუძველია მხოლოდ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება, რაც შესაბამისად წარმოადგენს მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების უფლების წარმოშობას.

მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების ცნების ქვეშ იგულისხმება ქორწინების განმავლობაში შეძენილი ყოველგვარი ქონება (უძრავი და მოძრავი), ასევე მოთხოვნის უფლებები და სხვ.

წინამდებარე სტატიის კვლევის საგანი არის მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობანი და მეუღლეთა მონაწილეობა ამხანაგობის ტიპის კომერციულ საზოგადოებაში.

კომერციული იურიდიული პირების განსაზღრისას, კანონი მეწარმეთა შესახებ, მიმართავს მათი ამომწურავი ჩამოთვლის ე.წ. numerus clausus პრინციპს, კერძოდ, სამეწარმეო საქმიანობაში დასაშვებია საწარმოთა მხოლოდ ის ფორმები, რომლებიც განმტკიცებულია კანონში.

საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ" განსაზღვრული იურიდიული პირები პირობითად, ორ დიდ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

პირველს განეკუთვნება ამხანაგობის ტიპის საზოგადოებები, კერძოდ, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს) და კომანდიტური საზოგადოება (კს). მათთვის დამახასიათებელია წევრობაზე აგებული ურთიერთობები ისე, რომ ამ იურიდიულ პირთა წევრები მათი საზოგადოების წევრების წინაშე პირადად, თავიანთი ქონებით აგებენ პასუხს.

კომერციული იურიდიული პირების მეორე ჯგუფს შეადგენენ კაპიტალური საზოგადოებები, ასეთ საზოგადოებებში პარტნიორები ე.ი. საზოგადოებების წევრები არ აგებენ პასუხს საზოგადოების კრედიტორების წინაშე, ამ შემთხვევაში კრედიტორებს იცავს კაპიტალი, რომელიც აუცილებელია ზემოაღნიშნული (კაპიტალური) ტიპის საზოგადოების დაფუძნებისათვის. კაპიტალური ტიპის საზოგადოებებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (ს/ს)და კოოპერატივი.

ნაწილი I

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება ერთ-ერთი ძველი და მეტად გავრცელებული სავაჭრო (სამეწარმეო) საზოგადოებაა. „მეწარმეთა შესახებ" კანონის 20.1.-ე მუხლის შესაბამისად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებისათვის კრედიტორის წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები – უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით.

სხვაგვარად რომ ვთქვათ სპს-ს პარტნიორის მიერ ზემოაღნიშნული საზოგადოებისათვის გადაცემული ქონება წარმოადგენს საზოგადოების საკუთრებას.

ამის შედეგად მეუღლეები /თუ საწესდებო კაპიტალში გაკეთებული შესატანი (წილი საწესდებო კაპიტალში) მთლიანად არ არის შეტანილი ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური ქონების ხარჯზე/ კარგავენ საკუთრების უფლებას აღნიშნულ შესატანზე და იმავდროულად იძენენ მოთხოვნის უფლებას სპს-ს მიმართ, რომელიც იმყოფება მათ საერთო საკუთრებაში.

აღსანიშნავია ის, რომ ამ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ სპს-ის პარტნიორსა და სპს-ს შორის არსებული ქონებრივი ხასიათის ურთიერთობებზე. სპს-ის ბუნებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საზოგადოება, რომელშიც პარტნიორთა ერთმანეთისადმი ნდობის საკითხი აყვანილია უმაღლეს საფეხურზე. ამასთან, აღნიშვნის ღირსია ის, რომ სპს-ში მონაწილეობისას, ერთ-ერთი პარტნიორის რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის საკითხი არ დგება და არც კონტროლირდება სხვა პარტნიორების მიერ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აღნიშნულ საზოგადოებაში პარტნიორებმა იციან, რომ საზოგადოებასთან დაკავშირებული ურთიერთობანი ეხება მხოლოდ ერთ პირს (მათ შორის, რომელიც იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში), ვინაიდან პარტნიორებს მხოლოდ აღნიშნული პიროვნება აინტერესებთ.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ისევე როგორც სამართლებრივ, ასევე ფაქტობრივ ასპექტში სპს-ს პარტნიორი მეუღლეთაგან არის მხოლოდ ერთი მეუღლე, ხოლო განქორწინების შემთხვევაში მეორე მეუღლეს არ აქვს სამართლებრივი საფუძველი დააყენოს საკითხი სპს-ში მის სავალდებულო მონაწილეობის შესახებ (გარდა შემთხვევისა, როდესაც მეორე მეუღლე და სპს-ს დანარჩენი წევრები განაცხადებენ თანხმობას, ამ შემთხვევაში პირველ მეუღლეს შეუძლია გახდეს სპს-ს მონაწილე. აღნიშნული თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, მონაწილეობა შეუძლებელია).

განქორწინების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მეუღლეთა საერთო თანაზიარ საკუთრებაში არის მოთხოვნის უფლება (სპს-ს მიმართ) და არა რეალურად არსებული ქონება (ნივთები), აღნიშნული მოთხოვნის უფლების გაყოფა არ გვესახება შესაძლებლად.

თუ განქორწინების საქმის განხილვისას, სასამართლო მიიჩნევს სპს-ში მონაწილეობას პროფესიულ საქმიანობად, ხოლო წილს საწესდებო კაპიტალში „პროფესიულ ქონებად", ან თუ მეორე მეუღლე სადავოდ არ გახდის იმ ქონებას, რომელიც უნდა მიეღო სპს-ს მონაწილე პარტნიორს, მისი წილის გამოყოფისას, მაშინ იგი კომპენსაციის სახით მიიღებს ანაზღაურებას მეუღლეთა საერთო ქონების სხვა ნაწილიდან, ან ფულადი სახით „მისი" წილი კაპიტალის შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში იმ მეუღლის წილი, რომელიც განქორწინდება უნდა იქნეს გამოყოფილი სპს-ს ქონებიდან. საზოგადოებაში მისი მონაწილეობის წილის შესაბამისად (სპს-ს პარტნიორთა გადაწყვეტილებით გამოყოფა შეიძლება ასევე შესრულდეს ნატურით) და შემდეგ გაყოფილი იყოს მეუღლეების მიერ. აღნიშნულ შემთხვევაში პარტნიორი, რომელსაც გამოეყოფა აღნიშნული ქონება წყვეტს მონაწილეობას საზოგადოებაში, ხოლო საზოგადოება აგრძელებს თავის მოღვაწეობას.

სპს-ს საწესდებო კაპიტალში წილის შეფასება, ხდება საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულებიდან გამომდინარე, იმ მომენტისათვის, როდესაც სპს-ს პარტნიორი გადის საზოგადოებიდან.

ამგვარად სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორის პირადი ფაქტორი სჯაბნის მის ქონებრივ ფაქტორს, მიუხედავად იმისა, რომ მეუღლეთა საკუთრებაში იმყოფება მოთხოვნის უფლება (სპს-ს მიმართ) და არა რეალურად არსებული ქონება, აღნიშნული „პიროვნული, პირადი ფაქტორის" სამართლებრივი ბუნება არ იძლევა საშუალებას გაიყოს მოთხოვნის უფლება და განსაზღვრავს რეალურად არსებული ქონების გაყოფას მეუღლეთა განქორწინების შემთხვევაში.

ნაწილი II

საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ", კერძოდ 34-ე მუხლის თანახმად საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას, არის კომანდიტური საზოგადოება, თუ ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის (პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები – კომპლემენტარები).

სპს-საგან განსხვავებით კს-ში ორი კატეგორიის პარტ-

ნიორებთან გვაქვს საქმე: მათგან ერთის პასუხისმგებლობა შეუზღუდავია (კომპლემენტარები), ხოლო მეორე პასუხს აგებს საგარანტიო თანხის – საკომანდიტო შესატანის ფარგლებში – კომანდიტი. კომპლემენტარი არაფრით არ განსხვავდება სპს-ს პარტნიორისაგან, რაც შეეხება კომანდიტს, იგი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. მისი პასუხისმგებლობა არ არის სრული, არამედ შემოიფარგლება მხოლოდ შეტანილი თანხით ან ქონებით. კს წარმოადგენს სპს-ს მოდიფიცირებულ სახეობას. ასევე შეიძლება ითქვას, რომ იგი არის გარდამავალი ფორმა ამხანაგობის და კაპიტალური ტიპის საზოგადოებებს შორის. ნაშრომის კვლევის საგნის სპეციფიურობიდან გამომდინარე, თქვენს ყურადღებას შევაჩერებ შემდეგზე:

თუ ჩვენ განვიხილავთ იმ მეუღლეთა საკუთრების პრობლემას რომელთაგანაც ერთ-ერთი გახლავთ კს-ს პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი – კომპლემენტარი, მაშინ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობანი, წინამდებარე კვლევის ფარგლებში, აიგება იმ სქემის მიხედვით, რომელიც შემოთავაზებულია სტატიის პირველ ნაწილში სპს-ს პარტნიორებთან მიმართებაში, ხოლო რაც შეეხება მოდელს როდესაც მეუღლეთაგან ერთ-ერთი არის კომანდიტი, მაშინ მეუღლეთა განქორწინების შემთხვევაში მათი თანაზიარი საკუთრების გაყოფისას ამოსავალ წერტილად უნდა მივიჩნიოთ ქონებრივი ხასიათის მონაწილეობა, მონაწილე მეუღლისა და არა „პიროვნული, პირადი ფაქტორი". თუ კომანდიტი იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში, მაშინ მეუღლეთა საერთო თანაზიარ საკუთრებაში იმყოფება წილი საწესდებო კაპიტალში და არა საზოგადოების ქონების ნაწილი, ვინაიდან, ფაქტობრივად საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შესატანის შემტანი არის ორი პირი (მეუღლეები) რომელთა სახელითაც მოქმედებს ერთი მათგანი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი კომანდიტის განქორწინების შემთხვევაში, თუ ორივე მეუღლე დაინტერესებულია საზოგადოებაში მონაწილეობით და ამავდროულად მეორე მეუღლე უარს აცხადებს მიიღოს კომპენსაცია საერთო თანაზიარი ქონებიდან ან საზოგადოების საწესდებო კაპიტალში გაკეთებული შესატანის წილის ღირებულების შესაბამისად ფულადი სახით, ან თუ ყოფილი მეუღლე (ფორმალურად კომანდიტი) დაბეჯითებით არ მოითხოვს წილის შენარჩუნებას თავის სახელზე ანუ არ სურს კომპენსაციის სახით გადაუხადოს მეორეს მისი (წილის) ღირებულება, მაშინ აღნიშნული წილი (კომანდიტის შესატანი საწესდებო კაპიტალში) დაექვემდებარება გაყოფას, რის შედეგადაც ორივე მეუღლე გახდება (მოგვევლინება) კომანდიტად. ამასთან საყურადღებოდ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ კომანდიტური საზოგადოების მხრიდან ისევე, როგორც კომპლემენტარებისა და დანარჩენი (სხვა) კომანდიტების თანხმობა არ არის საჭირო, რადგანაც მეორე მეუღლე არ გახლავთ საზოგადოების „ახალი მონაწილე", არამედ ფაქტობრივად წარმოადგენს საზოგადოების მონაწილეს, რომელიც მანამდეც მონაწილეობდა საზოგადოებაში, ვინაიდან იგი გახლავთ თანამესაკუთრე წილისა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა კომანდიტს და კს-ს შორის ურთიერთობა.

დასკვნა:

1. თუ ერთ-ერთი მეუღლე ხდება ამხანაგობის ტიპის კომერციული საზოგადოების მონაწილე, და შეაქვს საწესდებო კაპიტალში შესატანი მეუღლეთა საერთო თანაზიარ ქონებიდან, მოქმედებს რა თავისი სახელით იგი გამოხატავს ასევე თავისი მეუღლის (თანამესაკუთრის) ნებას;

2. თუ ქონებრივი ურთიერთობა მონაწილეს და საზოგადოებას შორის პირდაპირ დამოკიდებულებაშია მონაწილის პიროვნებასთან, ხოლო ეს უკანასკნელი არის ურთიერთობის არსებობის, მისი მოცულობის და შესაბამისად პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი (კს-ს კომპლემენტარი და სპს-ს პარტნიორი), სხვაგვარად, რომ ვთქვათ, თუ „პირადი ფაქტორი" მონაწილისა სჯაბნის მისი „ქონებრივი მონაწილეობის ფაქტორს", მაშინ მეორე მეუღლის სავალდებულო მონაწილეობა საზოგადოებაში მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს;

3. თუ ურთიერთობა საზოგადოებას და საზოგადოების მონაწილეს შორის აგებულია მხოლოდ „ქონებრივ მონაწილეობაზე" (კომანდიტი), რომლის დროსაც მნიშვნელობა არ აქვს მონაწილის პიროვნებას, მაშინ მეორე მეუღლე გახლავთ აღნიშნული ურთიერთობის ისეთივე სრულუფლებიანი მონაწილე, როგორც პირველი მეუღლე, რომელიც არის ურთიერთობის უშუალო მონაწილე;

4. თუ საზოგადოება დაფუძნებულია მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში (იგულისხმება რეგისტრირებული ქორწინება), და არ არსებობს: ჩუქების ხელშეკრულება ან მემკვიდრეობის დამადასტურებელი საბუთი ან სხვა საბუთი, რომლითაც დგინდება, რომ შესატანი გაკეთებულია მეუღლის ინდივიდუალური (განცალკევებული) ქონებიდან, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ შესატანი გაკეთებულია მეუღლეთა საერთო თანაზიარი ქონებიდან, რომელიც განქორწინების შემთხვევაში ექვემდებარება გაყოფას, კანონით დადგენილი წესის მიხედვით;

5. იმისათვის, რათა აცილებულ იქნას მოვლენათა განვითარება ნაშრომში მოცემული სქემების მიხედვით, საქორწინო კონტრაქტის მეშვეობით, შესაძლებელია „უმტკივნეულოდ" გადაწყვეტილ იქნეს ის პრობლემატური საკითხები, რომლებიც შესაძლებელია წამოჭრილ იქნეს ადამიანის ცხოვრების ისედაც უსიამოვნო მომენტში – განქორწინებისას. კონტრაქტში შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს სათანადო მუხლები ან დებულებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მეუღლეთა ქონებრივ უფლებებს ზემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში და ეს ყოველივე აგარიდებთ მოვლენათა განვითარებას თქვენთვის უცნობი სცენარის მიხედვით.